ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 44
(11 806)

4 – 7 ივნისი, 2004 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვიდეოჩანაწერით დაადგინეს...

„ატლ ჯორჯია" — „სიონის" „ოქროს" მატჩის, თოფშის ჩაშლის პირას მისულან, მატჩის მსულელობისას გამფუებულა ქოსმა და რის ვაი-ვაგლახით ჩამოათრიეს. სფე აიძულა საგანგები გადაწყვეტილება მიეღო. ვერცხლის პრიზიორი ბოლნისური გუნდი სატურნირო ცხრილში ჩამოქცეულია და უფრო თანიდან მოეკიდა, ვიეჭვნა საგანგები კოშისა, რომელსაც ორი დღის მანძილზე ყველა მოწოდებული ვიდეო და წერილობითი მასალა შეისწავლა და თავისი დასკვნა სფეს პრეზიდენტს წარუდგინა.

ბატონი მერაბ. თქვნს მიერ დანიშნულმა კომისიამ რ. ლორთქიფანიძის (თავმჯდომარე), ნ. ქაჯაიას, ბ. ქარქაშაძის, ა. ზალამბერიძის, ზ. დარასელის, რ. შენგელაის შემადგენლობით, მატჩის დირექტორის ნ. ქაჯაიას, ინსპექტორის შ. ხინჩაგაშვილის, მსაჯების ა. კრიპანოვის, ა. მუმკუის, ლ. მიქელაძის, გ. ჩიგოგიძის მოხსენებითი ბარათებისა და სატელეფონო კორესპონდენციის და ს.კ. თბილისის „ატლ ჯორჯიას" მიერ გადაცემული მატჩის ვიდეოჩანაწერის შესწავლის შედეგად დადგინა:

1. ს.კ. თბილისის „ატლ ჯორჯიას" ფეხბურთელმა რევაზ გოცირიძემ, გოლის გატანის შემდეგ არაეთიკური ქცევებით გამოიწვია ბოლისელ ფეხშემატკივართა აღშფოთება, რასაც მოჰყვა ტრიბუნებზე არეულობა;

2. მატჩის მომსახურე მსაჯებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ს.კ. ბოლნისის „სიონის" ფეხბურთელებმა ავთანდილ ლაბაძემ, აქვსენტი გილაურამა, ელდარ გვასალიამ და გუნდის მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ;

3. მატჩის მიმდინარეობის დროს, ს.კ. ბოლნისის „სიონის" ფეხბურთელმა ზალვა ისანაშვა უხეშადთქვა დატოვა მოედანი და მისი საქციელი ექვემდებარება დისციპლინარულ სასჯელს.

ამასთან, აღვნიშნავთ, რომ ს.კ. თბილისის „ატლ ჯორჯიას" ფეხბურთელ გიორგი ადამაშვილს დაკვეთრებული გაფრთხილება აქვს მიღებული და ეს ფაქტი მასალაშიც მისი რაიმე არასპორტული მოქმედება არ ჩანს.

დადგენილებაში ნახსენებ ფეხბურთელთა სადისციპლინო სასჯელებს სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს. ამავე კომიტეტს განსახილველად გადაეცა მატჩის ინსპექტორისა და მონაცემების ბრალეულობის საკითხი. აგრეთვე ინფორმაციები ერთეულ სტადიონზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და სტადიონზე მყოფი პოლიციელების უმოქმედობაზე პროფესიონალ სანაგებო წერილს შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძეს გაეგზავნის, სადაც ფურადღება პოლიციელთა არასათანადო პროფესიულ ქმედებაზე გამახვილდება. სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, სავარაუდოდ 9 ივნისს, 14 საათზე ჩატარდება.

Coca-Cola
ჯენერალური სპონსორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საგინისტრო გასაგებად!

საქართველოს კანონიდან სპორტის შესახებ

მუხლი 12. სპორტი სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებში.

1. ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება, ფიზიკური აღზრდა და სრულყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ყველა ტიპის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და სასწავლო დაწესებულებების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

2. სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფიზიკური მომზადების ნორმატივების სფეციფიკურ სასწავლო დაწესებულებება ადგილობრივი პირობებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფიზიკურ აღზრდაში მცდარი ნაცნობების ფორმების, მეთოდებსა და ხანგრძლივობას (არანაკლებ 4 საათისა კვირაში).

3. ფიზიკურად არაჯანსაღთათვის მცდარნებისა ტარდება რეაბილიტაციის ფარგლებში.

4. ყველა სასწავლო დაწესებულებაში, პროფილისა და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სპორტი შედის ერთიან სასწავლო პროგრამაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლების სამინისტრო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

გაზეთ „ლელოს" რედაქტორს

SOS

მოგახსენებთ, რომ პოლიგრაფიული სასწავლებელი, რომელიც მდებარეობს დიდნის მასივში, რობაძის ქ. №7-ში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცა საერთო სამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს. სასწავლებელი იძულებული გახდა გადაესულიყო იმავე მისამართზე წარმოების შეწყობაში.

ა.წ. მაისის შუა რიცხვებში სასამართლოს დეპარტამენტმა დაიწყო სპორტმომედანზე დაშლა და მთელი სპორტინვენტარი გამოტანილია გარეთ. ეს სპორტმოედანი იყო სამაყურებლო და ირიცხებოდა სასწავლებლის ბალანსზე. განზრახულია სპორტკომპლექსის ფუნქციის შეცვლა და სპორტდარბაზის სასამართლო სხდომის დარბაზად გადაკეთება.

გთხოვთ, თქვენ გაზეთის მეშვეობით გააგებინოთ ქვეყანას, რომ ასეთი ძალმომრეობა სასწავლებლის მიმართ დაუშვებელია.

ჯემალ ნებიერიძე,
სასწავლებლის ფიზხელმძღვანელი.

მილოცვები



საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს სახელოვან ვეტერან სპორტსმენს, წყალში ხტომაში საქართველოს ას სპორტოსანს, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, ხალხთა სპორტის მოღვაწეს, მრავალ სპორტსორტიანი გამარჯვებულს, ოლიმპიური თამაშების „ბრინჯაოს" პრიზიორს (ეროვნულ ხტომა) **ლალა ცოტაძეს.**

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს კოშტრიდან წყალში ხტომაში 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს, ბრწყინვალე ქალბატონს **ლალა ცოტაძეს.**

საქართველოს ჯიდაოსის ფედერაციაში პრეზიდიუმის ახალი სიმაღლიდან იმზირება

ჩვენი ქიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა ჯიდაოსტან მიმდინარეობს, მაგრამ გუშინდელი შეკრება მაინც გამორჩეული. გამორჩეული უპირველესად — საქმით, რაც გაკეთდა და, რაც უნდა გაკეთდეს.

ჩვენი ფალავნების მიღწევებზე ყველას კარგად მოუხსენება, ამიტომ მომაელის გვეგმებზე შევჩერდებით. ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი ძახოხოვმა** პრეზიდიუმს აცნობა, რომ 15 ივნისს თბილისში ჩამოდის ფილა პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი, რომელიც გაეცნობა ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში მსოფლიო თასის გათამაშებისთვის (თბილისი, 23-24 ოქტომბერი) მზადების საკითხებს.

გ. ძახოხოვი შეეხო აგრეთვე სამაზოლო რეგიონული ჭიდაობის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხს, რომლის მიზანია ოდინდელი მეგობრული ურთიერთობის აღდგენა. საქართველოს პირველობებში მათი მონაწილეობა და ა.შ. ზემოხსენებულ მსოფლიო თასის გათამაშებისთვის მზადების მიმდინარეობაზე ინფორმაცია გააკეთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომარ შოშიტაშვილმა.**

ითქვნა ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაზე ისაუბრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემ**. ეურთის ახალგაზრდებისა და ვეტერანის პირველობებთან დაკავშირებით კი ინფორმაცია გააკეთეს ბატონებმა **ნუგზარ ცხირელაძემ** (თავისუფალი ჭიდაობა), **ვაჟა კრავეიშვილმა** (ბერძნული ჭიდაობა) და **თამაზ ბენდელიანშვილმა.**

განხილულ საკითხებზე პრეზიდიუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

წლის საუკეთესო კალათბურთელი

პოპულარული სპორტული გაზეთის „მთავარი სპორტი" რედაქციის თანამშრომლების ჩამოწყობით ამგვარად ამ გამოცემამ ეურნალისტებსა და სპეციალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვით გამოავლინა ვაჟთა შორის საქართველოს 2003-2004 წლების XIII ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ალათბურთელი.

გუშინ ტრადიციისამებრ „ინტერვიო პლუსში" ეურნალისტების, მწვრთნელებისა და გულშემატკივართა თანდასწრებით გამოცხადდა ამ გამოკითხვის შედეგები. ლაურეატი გახდა დაეით ბერძენიშვილი, რომელმაც 66 ხმა მიიღო. ირიცხება ნოემბერიას 42-ჯა გამოკითხულმა დაეჭირა მხარი, ირიცხი ბერიშვილს — 22-ჯა.

ვაზუსტებათ...

„ლელოს" 42-ე ნომერში მცირე გვერდის პირველი სეტის ბოლოსწინა ამბავის ბოლო სტრიქონში უნდა იყოთხებოდეს: თამაზ სალუქაძე.

პირველად, ქართული ჭადრაკის ისტორიაში...



ფოთში, პირველად ქართული ჭადრაკის ისტორიაში, ჩატარდა საქართველოს პირველობა რეა წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონებსა და ვაეებს შორის. გოგონათა ტურნირში 28 მონაწილე იყო. შეეიღარიანი სისტემით გამართულ ცხრა ტურში რვა-რვა ქულა მოაგროვეს ქუთაისელმა ანა შამათავამ (მწვრთნელი ალეკო არსენიძე) და თბილისელმა ეკა გოგიაშვილმა (მწვრთნელი ციური კობაიძე). ტაეოვანი კოეფიციენტი ანა შამათავას აღმოაჩნდა ოდნავ მაღალი და მინენა პირველი ადგილი. მესამე ადგილზე გავიდა თელაელი ქეთი ჩხეიძე (მწვრთნელი იოსებ შათვაშვილი). რომელმაც კიდევ სამ მოჭადრაკესთან — მარიამ ჩოლაძესთან, მარიამ სამუკაშვილთან და ნათია ჩიქოვანთან ერთად 6-6 ქულა მოაგროვა, თუმცა კონკურენტებთან შედარებით უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა. აქვე გეტყვით, რომ ბევრ ნორჩ მოჭადრაკეს არ ჰქონდა საშუალება ჩასულიყო ფოთში საომაროდ, რის შედეგადაც ტურნირის შემადგენლობა შედარებით შესუსტებული გამოდგა. თვით და გოგიშვილის მონაწილეობაც საოეო იყო, მაგრამ დედაკაცებს შორის კუღტურასა და პარიზის სამსაბურთან არსებული ოლიმპიური ცენტრის (დირექტორი გიორგი უდესიანი) ხელშეწყობით, გოგიშვილმა მოახერხა მიიღო საქართველოს პირველობაში და მანაც მწვრთნელის და შეენტეთა იმედები გაამართლა. მისმა მწვრთნელმა ქალბატონმა ციური კობაიძემ ჩვენთან საუბრისას ისარგებლა და ჩვენი გზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადა თავისი შეგირდისათვის გაწეული დახმარებისათვის ზემოხსენებულ ოლიმპიური ცენტრის ხელმძღვანელობას. გოგონათა შეჯიბრების დაბურვის ცერემონიაზე პრიზიორების გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები. გარდა ამისა, „მისის ტურნირის" პრიზი მიენიჭა ქეთევან ხოშტარიას.

ახლა ვაჟთა შეჯიბრების შესახებ, რომელიც უმეტესათ ბრძოლაში ტარიმთა. ცხრა შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა გიგა ბენინმ (მწვრთნელი ნანა ქეფხომე) და ირაკლი მარგველაშვილმა (მწვრთნელი ფრიდონ ერისთავი). ეკუთვნის კოეფიციენტი ბენინს აღმოაჩნდა და ჩემპიონის ტიტულიც მას დარჩა. 7-7 ქულა მოაგროვეს გიორგი შონიამ, დაეით ჩიტიძემ და თორნიკე გოლაძემ. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით, მესამე ადგილი მინენა გიორგი შონიას (მწვრთნელი გიორგი თორია). სულ ვაჟთა შეჯიბრებაში 63 მონაწილე იყო. გამარკვეულია და პრიზიორების გარდა დაჯილდოვდა ჯატარა მონაწილე დაეით ქანთარია, რომელსაც ტურნირის მიმდინარეობისას ჯერ ექვსი წელიც არ შესრულებოდა. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გიორგი ხოშტარიმ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ფოთში ბევრი პერსპექტიული მოჭადრაკეს ჩაუეულელობის მიეხედავდ, ტურნირი მეტად საინტერესო გამოდგა. მან აღნიშნა, დაეით ჩიტიძისა და სანდრო ებრალიძის ცქვნი თამაში. თურმე ებრალიძეს ექვსი ტური შედეგ კეთილად მაქსიმუმი ჰქონია და რომ არა ბოლო ტურებში წარეგებულები, აღბათ არ უნდა გასჭირებოდა პირველი ადგილის დაკავება. აქვე გეტყვით, რომ ტურნირის ორგანიზატორები იფრენ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო ფედერაციის პრეზიდენტი რევაზ ლოლუა, ფოთის საქალაქო საკრების დირექტორი დავით თოდუა და მალაყაფენ შპს „არგოს" კოლექტივი, რომლის თავკაეია თეიმურაზ ხოშტარია.



ანზორ ხურაბაული



ზაურ სახვაძე

შეჯიბრებებში. ბევრი აღბათ მიხვდა, დიახ, დიახ, **ზაურ სახვაძეზე** მოგახსენებთ, რომელმაც ამ დღეებში კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ეუროპის ჩემპიონატების ვეტერან სამბისტთა შორის. ვერ გეტყვით, ვინმე დაკარგა თუ არა გიწეის ფეკორების მის მიღწევას, მაგრამ ამგვარი ტემპით და შემართებით, თუ ჯერ არ გამზადარა გიწეის ფეკორებები, სადაეა მას კარსაც მოეკარებს. მარტო ის რად ღირს, რომ ყველა მსოფლიოს შეიჯნის ჩემპიონია, შეიდზის ჰყავს დამარცხებული ყველა მეტოქე და რაც მთავარია... სიბერე. ამასთან, ორჯერ ასპარეეეი თამაშობს მოიგო.

ამჯერად, ლატვიის ქალაქ შაულიაიაში სამბოში სამივე ასაკის გუნდების ეონკურენტის პირველობის პარალეელურად ვეტერანთა ჩემპიონატიც ჩატარდა და ზაურ სახვაძემ (82 კგ) სწორედ იქ მიაღწია კიდევ ერთ საოცარ გამარჯვებას. ზაურმა ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგო და ფინალში სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი და ალა ვეტერანების მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი ლატვიელი გენადი პეტროვი დაამარცხა. 21 ქვეყნის ვეტერანებთან ქიდაობში ჩვენი კიდეე ერთი წარმომადგენელი გამოდგიდა. საქართველოს ორგზის ფალავანი ქართველ ქიდაობაში და სამბოში ეეტერანთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ანზორ ხურაბაული** (100), რომელიც ამჯერად ისევ კონტინენტის ჩემპიონი გახდა.

...შეძლებით შემიძლია და კიდევ დიდხანს არ დატოვებ საქიდაო სარბიელს, მოაკარა, სპონსორები მყიდნენ კარგად" — ამბობს ზაურ სახვაძე ბალისთან ასაბეეებს კიდეე მათ გვარებს, ეისენა: **ქუდოშეიშვილთან** გამარჯვენა ბიზნესმენები — **ბაჟრი პატარკაციშვილი** და **ვალერი ბეგლარიშვილი.** მაგრში მდგომნი შ მინისტრი გ. ბარამიძე, თბილისის პოლიციის უფროსი ლ. ალავერდაშვილი და სხვანი.



„ოსტატი და შეგირდი" — ემილ რაში (მარცხნივ) და ზაურ სახვაძე

მაისურად, მისი მოადგილეები **მ. სალაძე, დ. კაკუა,** უზენესი სასამართლოს მოსამართლე **ნ. გაბრიაძე.** რაღა თქმა უნდა, ემილიერ ისაბ საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტს და ვარჯების უფროს მწვრთნელს **ელისტა ალიაძს,** ძველ და ახალ მწვრთნელებს **ქრისტეფორე ნინაიშვილს** და **ემილ რაშს.**

მადლობა შენც, ჩვენო უბერებელო ფალავანო!

ზ. ბაძრაძე

ისევ უგვირგვინოდ

ელისტაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ქართული დელეგაციის ბოლი იმედი – მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე 0,5:1,5 დამარცხდა ბელგიელ ანტუანეტა სტეფანოვასთან და ჩემპიონის ტიტულის დაპრეტენზის შანსი დაკარგა. არადა, პირველი პარტია მაიამ შავი ფიგურებით ყაიმით დაასრულა ცხადია, თეორებით მის ბჭეების თამაშს ელოდა ყველა, მაგრამ... ჩიბურდანიძე გადაწყდეტ მომენტში შეცდომა დაუშვა და დამარცხდა.

ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სტეფანოვას და კოვალევსკიას შორის თამაშდება. გუშინ სტეფანოვამ პირველი პარტია მოიგო კოვალევსკიას.

სპორტის აკადემიაში მეცნიერებიც იზრდებიან

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ერთადერთი სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელსაც ეკუთვნის მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის ფიზიკოსების მასწავლებლები და მწვრთნელები. აქედან იქნება ფიზიკოსების და სპორტის მომავალი სამეცნიერო კადრები. კათედრებთან შეიქმნის სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, დღის პირველ ნახევრებში. აკადემიაში იმართება როგორც თანამშრომლობა, ისე სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები, გამოიცემა სამეცნიერო ნაშრომთა კრებული.

სტუდენტთა წლევანდელ სამეცნიერო კონფერენციაში 33 სტუდენტი მონაწილეობდა. მოხსენებები წარმოადგინეს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, ფიზიკური აღზრდის, წერის, მედიკო-ბიოლოგიის, სტუდენტთა პირველი სამეცნიერო ჟურნალ მერე ტურნირში და გამოვლინდა გამარჯვებულები. გასული წლებისგან განსხვავებით, მოხსენებების მეტი წილი მიეძღვნა პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის სანტერესო საკითხს, ეს მისასალმებელია, რადგან ფიზიკური აღზრდის და სპორტის განვითარებაში ამ მეცნიერებების როლი განუზომელია.

გამოვლინდა ხარვეზიც. კერძოდ, კვლევა-ძიების სათანადო მატერიალურ-ტექნიური ბაზა სჭირდება. ლაბორატორიებში კლავე რჩება მოძველებული აპარატურა...

დოც. ბიძი ჯვალი,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.

თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშული სახეობათა და ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის ამ ალსაზრდელებს, ახლა ფოტოალბერი. წინ რომ ისარაშებიან, ბრძოლ შეხვედრით დღესასწაულებზე, სადაც თავიანთი ოსტატობით წარუდგენენ მაყურებელს ტრადიციული ნაზაფხულის (მწვრთნელი თამილ ტალამე):

სურათზე: მარცხნიდან: I რიგში: ანა სალუქაძე, რიტა გალაინი, სარა მამალაძე, სალომე ბერდიდიაძე, ზედა გეგენავა, ლამარა ცეცხლაძე, ალინა თოიფილიანი, ნუცა ჩიხლაძე, ლანა ჩერქეზიშვილი; II რიგში: ნინო აბაიშვილი, მაგონა ძაგნიძე, ციცია მცერალი, თამარ მიქაძე.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

«კოლხა» და «იმედი»

საქართველოს პირველობაზე კალათბურთში 1988 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის 6 გუნდი ასპარეზობდა. ოთხწრიანი პაექრობის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: I. „მარაგი", 2. „კოლხა", 3. „მარაგი"-II", 4. „ლტები". ამ ოთხეულმა ფინალურ ტურნირში ვანაგრძო ბრძოლა პირველობისათვის, რომლის ბეღი საბოლოოდ „კოლხა" — „იმედის" მატჩში გადაწყდა. „კოლხას" მწვრთნელის ლეკა ჭაჭიას და გუნდის უფროსის ვაჟა კვარაცხელიას შრომა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა, მეორე ადგილზე გასულ „იმედის" მწვრთნელია ნარია ზაკიაშვილი, გუნდის უფროსი — ვაჟა ჭიტაიშვილი.

სპეციალისტების შეფასებით, მოზარდებმა ჩინებული მომზადება გამოავლინეს.

ელდარ მალხაზიშვილი, ფოტო ავტორისა

სურათზე: „კოლხა". I რიგში (მარცხნიდან): ნიკა არჩვაძე, ზურაბ ადეიშვილი, ლაშა ბუჭიაშვილი, თენგიზ კოპაძე, ბაჭარ ქვლიანიშვილი (კაპ), გუგა პატარაია, აკაკი მაზარაძე; II რიგში: ლეშა ჭაუხიძე, გიგა გლუხიაძე, დიმა ფაკობოვი, გიორგი პირველაშვილი, მწვრთნელი — ლეკა ჭაჭია, ნიკა მეტრეველი, ტატო ჩაჩიბაია, გიორგი ჭყონდერაია, ბიჭიკო კიკოლაშვილი, ვაჟა კვარაცხელია (გუნდის უფროსი).

ველოსპორტმა თავი კარგად შეგვაცნობა

აზერბაიჯანის ველოსპორტის „ფედერაციის თასზე" საქართველოს ველოსიპედისტთა მონაწილეობაზე ჩვენი ფედერაციის თანხმობა სიხარულით მიიღეს აზერბაიჯანელმა მეგობრებმა და სტუმრებს არნახული მასპინძლობაც გაუწიეს.

ბაქოში ქართველმა ველოსიპედისტებმა შესანიშნავად იასპარეზეს — ოთხდღე პროგრამის სამ სახეობაში მოიპოვეს პირველობა, რაც იმასაც განაპირობა, რომ ჩვენმა ველომებოლებმა ბაქოში გამგზავრებამდე მონაწილეობა მიიღეს თბილისში „სეზონის გახსნის" პრიზზე (ტრეკი) და სომხეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში (შოსე).

3 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში გიორგი ნადირაძე და კახაბერ ლოსეურაშვილმა შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. სერგო მურჯიკნელმა და ლოსეურაშვილმა შესანიშნავად იასპარეზეს ჯგუფურ რბოლაში 24 კმ-ზე (72 წრე, 12 შუალედური ფინიშით). აქ 29 ქულით გაიმარჯვა მურჯიკნელმა, მას ერთი ქულით ჩამორჩა თანაგუნდელი და მეორე ადგილზე გავიდა, მესამე ადგილზე გასულ ბაქოელ რამაზ ეოვაზოვს მხოლოდ 18 ქულა აქვნდა.

ლოსეურაშვილმა გამოთქვეთ ჯგუფურ რბოლაშიც გამოჩინა თავი და ფინიშშიც მიიჯრა.

ჩვენი გუნდი ბაქოს სტარტებისთვის მოამზადა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა თამაზ კოჭლაძემ. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ბესო ნადირაძე.

ჭაბუკი სამგზისტები – საბარეჯოში

საბარეჯოში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, რაინ ყორღანაშვილის მეოთხე მემორიალური ტურნირი ჭაბუკ სამგზისტთა პირველობის ფარგლებში. ასპარეზობაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების 200-ზე მეტი ჭაბუკი მოუდგა მონაწილეობდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირში გამარჯვებულები არიან: შალვა ხადილაშვილი (თელავი), საშა ჭინჭიხაე (ქუთაისი), შმაგი ლაგაზაური (ახმეტა), გენადი ჩირკაკიანე (ქუთაისი), ვალერი ლაფერაშვილი (საბარეჯო), ლევან ქაცარავა (საბარეჯო), მიხეილ მეკოყავიშვილი (საბარეჯო), ომარ ლომიძე (ზაზერი), ილია ტყემალაძვილი (ქუთაისი), გიორგი თედიაშვილი (საბარეჯო), გიორგი ბაბუაძე (თბილისი), შმაგი ხურციძე (ვანი), ტერან ტობუშაშვილი, ნუკრი ფანარაშვილი (ორივე — საბარეჯო) და გურამ ღონღაძე (ქუთაისი).

პრიზიორების სახელობის გადაცემა ლევან თედიაშვილმა, მიიძა პირველმა მწვრთნელმა ვანო მეკოყავიშვილმა და ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის არსენ მეკოყავიშვილის ვაჟმა გიორგიმ.

ოლიმპიელები სტუმრად... ტრადიციის დაბრუნება

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კომპლექსურ სპორტსკოლაში (დირექტორი მიხეილ სუმბათაძე) რაიონის გამგეობამ და სპორტის სამსახურმა შეხვედრა მოუწყეს და სპორტულ-მხატვრული ზეიმი გაუმართავს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ გამოჩენილ ოლიმპიელებს: დავით ცომაიერიძეს, მზია (მედეა) ჯუღელს, რაფიელ ჩიმიშკიანს, რობერტ შაულაძეს, ლევან თედიაშვილს, დიტო შანიძეს, ნოდარ ჯორჯიაშვილს, შეხვედრას ესწრებოდა და სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ოლიმპიურ ჩემპიონთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა მოჭიდავემ რომან რურუამ. ქართველ ოლიმპიელებს მიესალმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თემური ჯიქიური. ოლიმპიელებისა და არა მხოლოდ მათთვის სპორტულ-მხატვრული ზეიმის პროგრამაში იყო აკრობატების, მხატვრული და სპორტული ტანმოვარჯიშეების საჩვენებელი გამოსვლები, საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მიერ შესრულებული „მხიარული თამაშები", ანსამბლ „ჩუქურთმას" ცეკვები და სიმღერები.

ზეიმის მონაწილე ნორჩებმა გაიხარეს ერთმანეთთან შეხვედრით. ბევრმა მათგანმა ხომ პირველად ნახა ერის სახელოვან ადამიანები. „ვარაუდი, რომ ტრადიცია აღსდგა. თაობებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების გმირობაზე, იცნობდნენ პირადად. ამასთან, ასეთი შეხვედრები ახალგაზრდებში სპორტის პრომაგანდის საქმეთესო საშუალებაა. მაღლობა ჯეჯას, განსაკუთრებით რაიონის გამგებელს ბატონ თემურ ჯიქიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად ჩატარდება. გარდა ამისა, მატერიალურად დაიხმარებენ ვეტერან სპორტსმენებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, — თქვა ჩვენთან საუბარში პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალმა საქართველოდან, ქალბატონმა მზია ჯუღელმა.

„ლეღვი – „გუმათე"

ბით დაუმარცხებია მეტოქე.

გორში აშარა იყო მასპინძელთა უპირატესობა. შესაძენია აგრეთვე ქუთაისელებიც (მწვრთნელი გურამ მელაძე შვილი), თუმცა, პირველობას გამოაკლდნენ ზოგიერთი რაიონის მოჭიდავეები, მაგალითად, საგარეჯოელები, რომლებიც, ვფიქრობთ, მეტ ბიძლს შემატებდნენ ჯაბუკთა პირველობას. ასპარეზობის თავლფრს ადევნებდა ქართული ჭიდაობის ხელმძღვანელი ჭიდაობის ერთგნულ ფედერაციაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ საღარაძე.

ბესარიონ ბაბარეულიძე

გორელთა უპირატესობით

ჭალაქ გორის ცენტრში, ოსება სტალინის ბაღების მოპირდაპირე მხარეს, გაანალიზებს სპორტდარბაზში გაიმართა საქართველოს 2004 წლის ჭაბუკთა პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ: 35 კგ: 1. ლაშა ლომიძე (გორი), 2. ვეფხია ტოგონიძე, 3. კაცო ქურასბეყოანი (ორივე — ქუთაისი); **40 კგ:** 1. გიორგი თათრიშვილი, 2. ზვიად კაპანაძე, 3. ანზორ ზმიაღაშვილი (სამივე — გორი); **45 კგ:** ნიკა ცერცელაძე (ქუთაისი), 2. გიორგი ჩხეკვაძე, 3. ანრი ბიბილაშვილი (ორივე — გორი), **50 კგ:** 1. პაატა მერაბიშვილი, 2. ვახტანგ გიგუნაშვილი (ორივე — გორი), 3. ნუგზარ კაპანაძე (ქუთაისი); **55 კგ:** 1. სოსო ჭოკაშვილი (გორი), 2. ზურაბ აკაბერიძე (ქუთაისი), 3. გიგა ხურციძეი (მცხეთა); **60 კგ:** 1. ზოთა ვანიშვილი, 2. გიორგი რომელაშვილი (ორივე — გორი), 3. გიორგი შენგელაია (ქუთაისი); **65 კგ:** 1. გურამ რომელაშვილი (გორი), 2. თენგიზ ჯამბერიძე (ქუთაისი), 3. ვახტანგ სარაჯიშვილი (თელავი); **+65 კგ:** 1. იოსებ ჩილინდრიშვილი (გორი), 2. ბესიკი ჭაშნაშვილი (თელავი), 3. ირაკლი სარალიძე (ქუთაისი).

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა ძიუდოში, შიდა ქართლის სპორტის სამმართველოს უფროსმა **გიორგი თენგიძემ** ჩვენთან საუბარში თქვა: — ქართულ ჭიდაობას რომ განსაკუთრებულად უნდა მივხედოთ, ამის მეტი ფაქტორი არსებობს. ჯერ ერთი, ჩვენია, ქართულია, მრავალსაუკუნოვანია, მეორე — ოლიმპიური და არაოლიმპიური ჭიდაობის სახეობებს ბრწყინავე რეზერვს უმზადებს. ამის მაგალითებიც ბევრი გვაქვს, როცა ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს თუ პრიზიორს სწორედ ქართული ჭიდაობის ხერხის გამოყენებით დაუმარცხებია მეტოქე.

ლ — მაჯისანე
50 წლის წინათ...

თელავი. კულტსახლში ჩატარდა საქალაქო პიონერთა მაგიდის ჩოგბურთში. გაიმარჯვა ვაჟთა №1 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ზ. ყიფიანმა.

აჭარა. დამთავრდა 1954 წლის პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში, ქედის, შუახევის, ხულის რაიონებისა და „ლინამის" მოთხილამურეთა მონაწილეობით. გუნდური პირველობა მიიპყრო ხულის რაიონმა.

ქუთაისი. ჩატარდა საყვარელო დაუსრებული შეჯიბრების I ტური ძალოსნობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველობა მოიპოვეს ვ. კაციტაძემ, ვ ჩხენკელმა, ნ. ბაბუხადიამ.



ჩემპიონატის ფორმატი შეიცვლება

საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურებმა უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებთან თავისთან მიიწვიეს და მომავალი XVI ჩემპიონატის ახალი რეგლამენტის პროექტი გააცნეს. მსჯელობამ კარგახანს გასტანა. შეთანხმდნენ, რომ მიზანშეწონილია ეროვნული პირველობის რატარების სისტემა შეიცვალოს. გუნდების ექსკლუზიტად დაყოფა აღარ მოხდება. თორმეტი კლუბი ერთმანეთში ოთხ წრედ ითამაშებს. პირველობა თორმეტი ტურით გაიხრდება და მოლიობაში 44 ტური ჩატარდება. მომავალი ჩემპიონატი ერთგვარი გარდამავალი ეტაპი იქნება ათეულნიან სისტემაზე, ახალი გეგმა სხვა ცვლილებებსაც თვალისწინებს. 2004-2005 წლების საფეხბურთო სეზონში უმაღლესი ლიგიდან სამი გუნდი პირდაპირ გავარდება, მერვედგილისანი პირველი ლიგის მეორედგილისანს პლეი-ოფში შეხვდება. პირველი ლიგიდან უმაღლესის საგზურს მხოლოდ ერთი, პირველადგილისანი მიიღებს. 2005-2006 წლების საფეხბურთო სეზონში, XVII ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში უკვე ათი გუნდი ითამაშებს. პირველ ლიგიდან რეგიონულში ხუთის ნაცვლად სამი გავარდება, რომელთა ადგილს წლეულს, რეგიონული ლიგის ცენტრალური, აღმოსავლეთის და დასავლეთის ზონების გამარჯვებულები დაიკავებენ. ზემოთქმული ჯერ პროექტია, ჩემპიონატის ახალი რეგლამენტი დაიხვეწება და დამტკიცდება 18 ივნისის პროფლიგის კონფერენციაზე.

საქართველოს ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola

ქალთა ფეხბურთი

ჩემპიონატი აღდგება

საქართველოს ქალთა ფეხბურთი კიდევ ერთხელ გაიოცხლდა. ფინული დაიძრა. ქალთა საფეხბურთო ლიგის მესვეურებმა ახლახან გამართული პრესკონფერენციაზე ეროვნული პირველობის ჩატარების პერსპექტივაზე ილაპარაკეს. ჩემპიონატი სავარაუდოდ, 5 ივნისს დაიწყება. 16 გუნდი რეგიონების მიხედვით ოთხ ჯგუფში განაწილდება. ოთხი საუკეთესო გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ლიგას სფე მატერიალურად დაეხმარება. ჩემპიონატი ივნისში უნდა ჩატარდეს. ივლისში კი სერთაშორისო ტურნირის გამართვაა დაგეგმილი. დასადგენია მხოლოდ ტურნირის თარიღები. ჩემპიონატის მონაწილე 16 გუნდი ოთხ ჯგუფებში შემდეგნაირად განაწილდა:

ა ჯგუფი: ბათუმი, ჭიათურა, ფოთი, ლანჩხუთი;

ბ ჯგუფი: ბორჯომი, გორი, ხაშური, ჭიათურა;

გ ჯგუფი: ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, მცხეთა;

დ ჯგუფი: ავაზა (თბილისი), დინამო (თბილისი), რუსთავი, ბოლნისი.

რეგიონული პირველობა 5-20 ივნისის ჩატარდება. 23 ივნის კენჭისყრა მოეწყობა და ჯგუფებში გამარჯვებული ოთხი საუკეთესო გუნდის კალენდარი შედგება.

რეგიონული ლიგა

აღმოსავლეთი XXVII ტური

ავაზა — ერთობა 0-3
ცხუმი — ნ. დინამო3 1-2
ნ. დინამო — ჯერენი 3-4
(სოხ) — კრწანისი 5-0
კახეთი — თ.ს. აკადემია 3-0
ნ. დინამო2 — ლოკომოტივი3 0-3

გადატანილი მატჩები

სიონი2 — თბილისი 0-2
კრწანისი — კახეთი 3-4

ცენტრალური XXVII ტური

სამგორი — ზოოტექი 1-1
თორი — ზარზმა 3-0
ირაო-ვაკე — მცხეთა-ურიონი2 1-1
იბერია-აკადემია — ჯაზბეგი 0-2
მერანი — ლიახი 3-0
მესხეთი — პრემა 1-3

XXVIII ტური

ჯაზბეგი — ირაო-ვაკე 3-1
ტორთო — მერანი (4.06)
ლიახი — იბერია-აკადემია 0-3
მცხეთა-ურიონი 2 — თორი 0-2
ზარზმა — სამგორი 0-3

დასავლეთი XXVII ტური

სალხინო — დინამო (ზ) 6-2
ცვრილი — მეშახტე 1-2
ოლიმპიკი — სულორი 2-0
კოლხეთი (ხ) — კოლხეთი2 2-1
იმედი — მაღარიელი 0-3
დინამო (ქ) — რაკა 0-3
სქური — დინამო2 (ბთ) 1-3
სტაბი — ტორპედო2 3-0

დასავლეთი

მაღარიელი	27	20	6	1	76-21	66
ოლიმპიკი	27	18	5	4	42-12	59
სტაბი	27	16	4	7	46-29	52
სქური	27	15	5	7	46-26	50
კოლხეთი (ხ)	27	15	3	9	35-29	48
მეშახტე	27	12	9	6	37-30	45
რაკა	27	11	10	6	54-39	43
სალხინო	27	11	3	13	30-39	36
დინამო (ზ)	27	10	5	12	46-53	35
დინ2 (ბთ)	27	10	5	12	29-31	35
იმედი	27	8	8	11	28-37	32
სულორი	27	9	3	15	31-36	30
ტორპედო2	27	8	4	15	31-46	28
კოლხეთი2(ფ)	27	5	6	16	33-47	21
ცვრილი	27	5	1	21	25-72	16
დინამო (ქ)	27	2	5	20	19-67	11

ცენტრალური

თორი	22	20	2	0	64-11	62
მერანი	21	13	4	4	36-18	43
ჯაზბეგი	22	11	6	5	34-16	39
პრემა	21	12	1	8	37-25	37
ზოოტექი	23	11	4	8	32-24	37
მცხ-ურიონი2	23	10	5	8	41-32	35
ლიახი	21	10	3	8	31-32	33
იბერ-აკადემია	21	9	3	9	34-25	30
სამგორი	22	9	3	10	30-44	30
მესხეთი	23	8	2	13	30-33	26
ტორნოი	21	6	4	11	26-30	22
ირაო-ვაკე	22	4	1	17	21-53	13
ზარზმა	23	0	0	23	6-78	0

აღმოსავლეთი

კახეთი	25	21	2	2	68-19	65
სიონი2(ბოლნ)	26	16	4	6	51-25	52
ლოკომ3	25	16	4	5	50-21	52
ცხუმი	25	13	5	7	48-26	44
ნ. დინამო	26	12	6	8	50-37	42
თ.ს. აკადემია	25	11	7	7	38-29	40
ნ. დინამო2	25	11	3	11	35-34	36
კრწანისი	25	11	2	12	57-53	35
თბილისი	25	8	7	10	42-40	31
დინამო(სოხ)	24	8	5	11	39-42	29
ჯერენი	25	7	8	10	25-30	29
ავაზა	24	8	4	12	28-36	28
ერთობა	26	6	4	16	20-52	22
ნ. დინამო3	25	4	4	17	29-70	16
იბერია	25	2	1	22	23-82	7

შაბრძა აკადემიასთან განვლილი გზა შეაჯამეს და უმეშაძეს

გუშინ, სფფ-ს საკრებო დარბაზში ფეხბურთის მსაჯთა აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საბჭოს გაფართოებული სხდომა ჩატარდა. ღონისძიებას და მათმა შეგირდებმა ერთი წლის მუშაობა შეაჯამეს. აკადემიის რექტორმა ანატოლი მილუკოვმა და პრორექტორმა მაშია ტუღუშმა განვლილი მუშაობა დადებითად შეაფასეს. სწავლის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა, არ აშლილა. იყო გარკვეული სირთულეებიც, რომელსაც ობიექტური და სუბიექტური ბუნების ფაქტორები ქმნიდნენ. ამის მიზეზები აქვს, მაგრამ ისინი გამოსწორებადია. აკადემიის სწავლების აწარმოებენ სპორტის აკადემიის საუკეთესო სპეციალისტები. გაძლიერებულად ისწავლებოდა ინგლისური, სპეციალობები და სხვადასხვა აუცილებელი საგნები. მეორე სემესტრი ივნისის ბოლოს დამთავრდება გამოცდებით და ჩათვლებით. სწავლების კურსი ორწლიანია და წლეულს, ოქტომბერში განაახლებენ. ნამუშევრებიდან, რომ მსაჯთა აკადემიის სტუდენტებმა ჩინებულად ჩაბარეს ფიზმომზადების ნორმატივები, აკადემიის ავტოდამოუკიდებელმა ზაზა მენთეშაშვილმა კი 17-წლამდელთა ნაკრები გუნდის ვერცპირ ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მსაჯობისთვის მაღალი შეფასება დაიმსახურა და გაუძღვა როგორც ჯგუფურ, ისე ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩს. აკადემიკოსებს მიესალმა სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჯორჯანია: „ეფფაში რამდენიმე პროექტი წარადგინეთ, რომელიც ეხება ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. საფეხბურთო მინდვრების შენებლობას და მსაჯთა აკადემიის მუშაობის უზარველყოფას. სასიამოვნოა, რომ ასეთი აკადემია პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთია და გამართულად ფუნქციონირებს, რაც მისადმი ეფფას ყურადღებას ზრდის და დახმარებისა და კონსულტაციების გარანტიას იძლევა. ფეხბურთი ემსაჯოდ არ არსებობს. მსაჯმა მარტო ფეხბურთის წესები არ უნდა იცოდეს, იგი განათლებული, ინტელიგენტურად განვითარებული უნდა იყოს. გვყოლება ბევრი კარგი, განსწავლული მსაჯი და ქართული ფეხბურთიც სწრაფად განვითარდება. ხელი შეეწყობა მსაჯთა პროფესიულ წინსვლას. ამაღლდება მსაჯთან ფიზ, ამაღლდება ფეხბურთის დონეც. მსაჯთა აკადემიის ჩამოყალიბების პროცესი ერთ-ერთი პირველი პროექტი იყო ჩვენს მიერ ეფფაში გაგზავნილი და მოხარული ვარ, რომ იგი თავის დანიშნულებას ამართლებს".

15 ივნისს, საქართველოში ჩამოდის ეფფას დახმარების პროგრამის მეხვეური, „ჯეთ-თრიკის" პროექტის ერთ-ერთი ავტორი ბრენო ვილფისბერგი, რომელიც ამავე დროს, ეფფაში ჩვენი მსაჯთა აკადემიის მეშვაობას კურირებს, იგი სხვა საკითხებთან ერთად აკადემიის მუშაობასაც გაეცნობა და მეცადინეობებს დაესწრება.

რამდენიმე დღის წინ, სამსაჯო კარიერა დაასრულა ფიფას არბიტრმა სერგო ცარაკიძემან, რომელსაც სახელო გაეცილება მოეწყოს სფფ-ს მუშაკები და კოლეგებმა. 19 ივნისს კი ტრადიციულად არბიტრის ბატონის ეგონალისტებისა და მსაჯთა გუნდების შორის, შეჯიბრება განვლილი სეზონის შედეგებში, დაისახება მომავალი სეზონის გეგმები და ახლ ასათვისის საქედლობრივი სერთაშორისო (საფეხბურთო) ფინდი დაჯილდოებს 2003-2004 წლების საფეხბურთო სეზონის საუკეთესო მსაჯს.

განცხადება

კონკურსის ჩაბარების შესახებ

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო კლუბები-სკოლები ერთობლივად აცხადებენ ღია კონკურსს ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიებისათვის, 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის შესასყიდად 3 წლის ვადით და იწვევენ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. აღნიშნული დაზღვევა უნდა მოიცავდეს: დაზღვეული ფეხბურთელებისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების ხარჯების დაფარვას,

სხვადასხვა საფეხბურთო კლუბებში მოთამაშე 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მიერ ვარჯიშისა და სპორტული ღონისძიებების დროს მიღებული ტრავმების მკურნალობის ხარჯების დაფარას;

3. კონკურსის მონაწილეობის მსურველმა სადაზღვევო კომპანიებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და შეთავაზება ზემოაღნიშნული პირობებით უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: სფფ. ი. ჭავჭავაძის 76 – **2004 წლის 4 ივნისიდან 2004 წლის 14 ივნისის 16 საათამდე.**

საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 29-23-04

4. საკვალიფიკაციო მონაცემებში უნდა შეიკავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

დაზღვევის ზემოაღნიშნულ სახეობაზე ღირებულებას;

უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური ზომსახედრების გამოცდილება და რაოდენობა;

ინფორმაცია, თუ რომელი სამედიცინო დაწესებულებები მოახდენენ დაზღვეული სპორტსმენების მომსახურებას და მათი გამოცდილება აღნიშნულ საქმიანობაში;

კანდიდატი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთდადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

5. კონკურსში გამოვლინება ერთი გამარჯვებულის;

6. დამატებითი ინფორმაციისა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ბაღრი ჯარჯანაძე ტ.: 29-23-04, გია ძაბუკაშვილი ტ.: 91-26-71 შემდეგ მისამართზე: სფფ. ი. ჭავჭავაძის 76.

პ. ჩიბაძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

ბავშვთა ფეხბურთი

ხსოვნის ტურნირი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბანში, ადგილობრივი საკრებულოს თაოსნობით და ფინანსური დახმარებით დაიღუპნენ ბრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი VII ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც ჯგუფებში (1991-92, 1989-90 წწ.). რომელშიც ჰაბეკოა 18 გუნდი მონაწილეობდა. 1991-92-წლიანთა ტურნირის ფინალში ბ თბილისის კრწანისის კომპლექსური სპორტული სკოლის გუნდმა „კრწანისმა" დაბადეს პაექრობაში 2-1 ანობა „ბაისუბნის" გუნდს.

1989-90-წლიანებშიც ფინალში „კრწანისმა" იმარჯვა, რომელმაც 3-0 დაამარცხა „ფარუბანის" გუნდი.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ე. ონიანმა პრიზები გადასცა როგორც გამარჯვებულ და სპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, ისე ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებს.

„კრწანისი" (1991-1992 წლიანები). მარცხნიდან **I რიგში:** ლაშა ხარაული, გიორგი მთვარელაშვილი, თორნიკე შოიბერაშვილი და ცოტნე ბუხრაშვილი. **II რიგში:** ბექა ბენდელიანი, გიორგი სამუშია, მწვრთნელი გივი მამულაშვილი, გიორგი ჰაპიანშვილი და გუნდის კაპიტანი დათო ოქუჯავა.



„კრწანისი" (1989-90 წლიანები) მარცხნიდან **I რიგში:** გიორგი წიქარიშვილი, ლაშა რუხაია, მიშიკო ჰაპიანშვილი და გუნდის კაპიტანი ბესო ბერიძე; **II რიგში:** ბექა ონიაშვილი, ჯაბა გობეჩიშვილი, მწვრთნელი გ. მამულაშვილი, გიორგი ჭაშაშვილი, გიორგი ხოტერაკი და ლაშა ჭანჭავაშვილი.

გიორგი სიჭინავას ოინები იყო ასეთი შემთხვევა

თბილისის დინამოელები ქუთაისიდან მოფრინავდნენ მატჩის შემდეგ. პატარა თვითმფრინავში ისხდნენ. გარეთ ისეთი ქარბუქი და უამინობა იყო, რომ ფეხით შიშა იოანაძე. თვითმფრინავი ჰაჰაეროი ქანაობდა. მგზავრობდნენ ასე ფეხო დაიკავებენ წინასწორობას, აი ზოგიერთი კი პირდაპირ იატაკამდე იწვა. დინამოელთაგან მეორნი მხოლოდ ათანლილ ლოლოტრიძე და გიორგი სიჭინავა ისხდნენ თავიანთ ადგილებზე. თვითმფრინავის წინა სალონში. ეიღაც შენიშნა, თვითმფრინავი ჩუენს სლავა მეტრეველს მიაყოლო! ბასა სწრაფად წამოხტა სავარძლიდან, პილოტის კაბინისკენ გაემართა და მეორე წუთს იქიდან გაგაიგონეს სლავა «გამოთავრა». რამდენიმე ხნის შემდეგ წინა სალონიდან მოისმა ყვირილი. ჩუენი ბასას ხმა იყო. იგი ფეხზე იდგა და ყორა სიჭინავას ეკამებოდა: გამოდი აქეთ და სხვაგან გადაეკეთო, თან ხელიდან რაღაც ქაღალდს ართმევდა. მაღე ყველაფერი გაირკვა — გ. სიჭინავას თოქმე ზედ რუსულად დაეწერია: „მთი პოსლედნი დენ!". გაფითრებული ბასა ლოლობრიძე პირჯვარს იწერდა.

კვირა

ჯახი კალაძე ბავშვთა სკოლების გახსნას გვპირდება

ჯახი კალაძე დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს, სამხრეთ-ოსეთში. ფეხბურთის თამაში 12 წლის ასაკში დაიწყო ადგილობრივ საფეხბურთო კლუბში. სამი წლის შემდეგ ჩაირიცხა სამხრეთის „ლოკომოტივში". 1996 წლიდან კარიერა თბილისის „დინამოში" გააგრძელა, რომლის მწვრთნელიც დღეს ყოფილი ნაკრები იყო. 1998 წელს ჩაირიცხა კიევის „დინამოში". უკრაინულ გუნდს ჯერ ჯახისთვის ეზღერი ლობანოვსკი და ლობანოვსკი. სწორედ ამ დიდმა ოსტატმა, ჯაბარა კალაძეში ბიჭი ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ჩამოაყალიბა და დღე ჯარამტებისაც უწინასწარმეტყველებდა. ასეც მოხდა. 2000 წელს ჯახი უკვე ოტალეურ გრანდში – „მილანში". აქ მისი პირველი მწვრთნელი ბუზარე მილდინი იყო. მერე „მილანში" ახალი თავკაცი, კარლო ანჩელოტი მოვიდა. ანჩელოტიმ ქართველს ფეხბურთისადმი სიყვარული დაუფასა და ძირითად შემადგენლობაშიც დაიყენა.

მაისი დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში საპრძნეთის წინააღმდეგ შედგა. არის საქართველოს ნემსიონი და თასის მფლობელი, უკრაინის ნემსიონი და თასის მფლობელი. ბატალიონის თასის, ნემსიონთა ლიგის თასის მფლობელი და 2004 წლის ოტალეის ნემსიონი. დაამთავრა თბილისის ხასელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. პყავს მშობლები, ძმა.

* * *

● შენი წარმატებები კიევის „დინამოდან" იწყება, როგორ დაიწყე უკრაინაში ფეხბურთელის წლები?

— პატარა ვიყავი კიევში რომ ჩავედი. ნამდვილად რთულია 18 წლის ბიჭისთვის ის დატეხილები, რაც იქ იყო. მაგრამ ყველაფერს გავუძელი, რადგან გულრში მედგნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მთელი იმ ხნის მანძილზე მამხნევებდნენ. შემდეგ ბიუბსაც დავუახლოვდი და ნოსტალგიამაც გაიმარა. ის, არაერთხელ დამირეკავს მამაჩემთან და მითქვამს – მიმენატრა. წამოვალ, რას მერჩი-მეთქი (იცინის). ახლა რომ ვიხსენებ, მეცინება...

● ყველაფერთან ერთად ერთია საუკეთესო მწვრთნელის პერიოდში მოგეწია მოღვაწეობა კიევის „დინამოში"...

— მართალი ხარ. ლობანოვსკი იყო იმ ადამიანთა შორის, რომელიც მამხნევებდა. ის არა მარტო დიდი მწვრთნელი, არამედ, კარგი ადამიანიც იყო. ვიმაჯობ, რომ ამ ბუმბერაზ პიროვნებას ვიცნობდი. ყველაზე დიდი წვლილი მას მიუძღვის ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში.

● ცოტა ხნის შემდეგ შეთავაზება გითხრა დემეტრაძე, მაგრამ ამას დაემთხვა, ცოტა არ იყოს, შენი ფურცლების მოღუნება თამაშისადმი...

— მიზეზი იცი რა იყო? ერთბაშად რამდენიმე ძირითადმა ფეხბურთელმა დატოვა გუნდი: შეიწყვიმ, რებროვმა... გუნდიც დაშლის პირას იყო, თან ვიცოდი, რომ მეც უნდა წავსულიყავი.

● ვინ არცოდნის გამო ხომ არ გაგიჭირდა ურთიერთობა „მილანში" თანაუნულელებთან?

— თამაშის მხრივ, საერთოდ, არ გამჭირვებია. ვიცი, რომ თუ უკრაინული სკოლა გაქვს გამოვლილი, სხვა გუნდებში არ უნდა გაგიჭირდეს თამაში. რაც შეეხება მილანელებს, ცოტა გამიჭირდა, რადგან ენა არ ვიცოდი, შემდეგ ენაც ვისწავლე.

● თავად როგორი ხასიათი მილანელები, რას ამბობდნენ ამაზე, რომ ქართველი ხარ?

— საქართველოს დიდად არ იცნობენ, უფრო რუსეთის მხრივ მოისენიებდნენ. ხალხი ძალიან თბილია, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველებს გვანან ხასიათებით და ქცევებით.

● პირველი ქართველი ფეხბურთელი ხარ, რომელმაც ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, ნემსიონთა ლიგის თასი მოიპოვე...

— მართლაც დაუვიწყარი წუთები იყო. როგორც ყველა ფეხბურთელისთვის, ჩემპიონთა ლიგაში თამაში ძალზედ მნიშვნელოვანია, გამონაკლისი არც მე ვარ. 2003 წელი ჩემს კარიერაში ყველაზე საუკეთესო პერიოდი იყო.

ჯახი კალაძე (მარცხნივ) და პაოლო მალდინი

ვენების შემდეგ ფორმა მთლიანად არ დაგიკარგავსო.

● როგორ დაახასიათებ ანჩელოტის?

— ძალიან კარგი ადამიანია. ყველასთან ნორმალური ურთიერთობა აქვს. როგორც მწვრთნელი, პროფესიონალია. უმთავრესი შეფდგა ხომ ამაზე მეტყველებს.

